ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2011 წლის 28 იანვარი

ქ. ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 აგვისტოს №39 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო (დანართი №1).
2. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირთა, გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო (დანართი №2).
3. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის № 185 დადგენილება.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მ. ლეთოდიანი**

დანართი №1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2100
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100
3	კომისიის თავმჯდომარე	650
4	ფრაქციის თავმჯდომარე	650
5	აპარატის უფროსი	700
	უმცროსი საჯარო თანამდებობა	
6	მთავარი სპეციალისტი	400
7	წამყვანი სპეციალისტი	300
8	უფროსი სპეციალისტი	270
9	სპეციალისტი	250

დანართი №2

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს _ გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	მუნიციპალიტეტის გამგებელი	2100
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგებლის თანაშემწე	450
4	სამსახურის უფროსი	700
5	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი	400
6	სპეციალისტი (ტერიტორიულ ორგანოში)	150
	უმცროსი საჯარო თანამდებობა	
7	მთავარი სპეციალისტი	400
8	წამყვანი სპეციალისტი	300
9	უფროსი სპეციალისტი	270
10	სპეციალისტი	250